**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ავალიშვილი სალომე დიმიტრის ასული

ავალიშვილი სალომე დიმიტრის ასული (6. V. 1899, სოფ. კონდოლი, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 23. IX. 1966, თბილისი), ექიმ-პარაზიტოლოგი. საქართვ. (1941) და აჭარის (1946) დამს. ექიმი.

1923 თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისში. 1931–33 იყო ქობულეთის მალარიის საწინააღმდეგო სადგურის გამგე, 1933–37 – ბათუმის ცენტრ. ტროპ. სადგურის ეპიდემიოლოგი, 1937-იდან – დირექტორი.

მეორე მსოფლიო ომის დროს იყო ევაკოჰოსპიტლის უფროსის მოადგილე. ომის შემდეგ მუშაობდა აჭარის სანიტ.-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარ ექიმად. ა. შეისწავლიდა მალარიას, ჰელმინთოზებს. დიდი ღვაწლი მიუძღვის აჭარასა და მთელ საქართველოში მალარიის ლიკვიდაციისა და ჰელმინთოზებით ავადობის შემცირების საქმეში.

იყო აჭარის ეპიდემიოლოგთა, მიკრობიოლოგთა და პარაზიტოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე (1956 – 62) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენი.

*თხზ.*: მალარიის ლიკვიდაცია აჭარის ასსრში, თბ., 1971.

*ლიტ.*: თ ო ფ უ რ ი ა ი., ქ ო რ ჩ ი ლ ა ვ ა ჯ., სალომე ავალიშვილი, თბ., 1976.

***ჯ. ქორჩილავა***